# ეჩი

№ 18
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

შაბათი, 23 ნოემბ.

მისამართი: Кутаис, редакция газ. „ეჩი"
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი"
21, 23, 24 ნოემბერს.

I.
დიდ გზაზე
მონო-პოლიური დრ. 6 ნაწილათ. ასრულებ. მიუნხენის სამხატვრო-თეატრის მსახიობნი

II.
პატარა გაუგებრობა
დიდი კომიკური სურათი.

რადგან სურათი დიდია, ამიტომ მხოლოდ სამი სეანსი მოეწყობა ერთ სღამოს.
დასაწყისი სდ. 5 ს.
ორშაბათს 25 ნოემბერს ნაჩვენები იქნება ახალი სურათები.

დრაფი ბიბერი ტრიკო მაუდი.

პაეზჯე დამუარეგული ამხანაგობა
ს. მ. პირაკოზოვი
და ზ. გ. ოზანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
საზამთრო
საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.

ველვიური გენუია იდეალი ფლორა.


გაუბედურებული ქვრივი პელაგია გიორგი ყანჩაველის ასული წულეისკირისა შვილებითურთ ბაბულა და სოსიკოთი; თავზარდაცემულნი მშობლები ანასტასია ქაიხოსრო აბულაძის ასული წულეისკირისა და პეტრე ვასილის ძე წულეისკირი, გულმოკლული ძმები: აქიმი ვასილი, სტუდენტები ივანე და პიმენი პეტრეს ძენი წულეისკირნი, დები: ალექსანდრა პეტრეს ასული ლოსაბერიძისა, ნინო და ვერა პეტრეს ასულნი წულეისკირისანი, რძლები: ქვრივი ოლიმპიადა დავით ლეშკაშვილის ასული, ბარბალე გიორგი ზალდასტანაშვილის ასული, ნინო იოსებ ჭირაქაძის ასული წულეისკირისანი და სიძე აქიმი ევსევი გ. ლოსაბერიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ საცოდავათ დღემოსპობილის ტეხნიკის

**დავით პეტრეს ძის წულეისკირის**

უკანასკნელად გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა, 24 გიორგობისთვე, ნაშვადღევის $2^1/_2$ საათი, და სთხოვენ მობრძანდენ და ანუგეშონ მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი.

პანაშვიდები ყოველდღე, სალამოს ხუთის ნახევარ საათზე, დადიანის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. გასვენება საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე წერილებით დაპატიჟება არ იქნება.

ქვრივი კესარია დავითის ასული კაკაბაძისა, კოსტანტინე ათანას ძე, ნინო ეფრემის ასული, ელენე და გიორგი კაკაბაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლისას მეორე და მესამე დაუვიწყარი მამისას, დანარჩენი ბაბულიკას

**ათანას ოქროპირის ძის კაკაბაძისას,**

რომლის დაკრძალვის დღეც დანიშნულია 24 ნოემბერს, დღით კვირას, ნაშვადღევის 3 საათზე, დაბა ხონში საკუთარი სახლიდან მაცხოვრის ეკლესიაზე.

ქუთათური და ჭიათურელი ამხანაგები აუწყებენ მეგობართა და ამხანაგთ, რომ კვირას, 24 ნოემბერს, წმ. გიორგის ეკლესიაში არქიელის გორაზე დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გადაცვალებული სტუდენტის

**ალექსანდრე (საშა) მინას ძე ავალიანის სულის მოსახსენებლათ.**

კვირას, 24 ნოემბერს, წმ. გიორგის ეკლესიაში არქიელის გორაზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

**სტუდენტი ალექსანდრე (საშა) ავალიანის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ განსვენებულის ჭირისუფალნი.


## საქარის ამერიკული ვაზის სანერგე

ამით აცხადებს, რომ სანერგეში ყოველივე დასარგავი მასალის შეკვეთა ფოშტით შეიძლება მხოლოდ პირველ დეკემბრამდი. პირადათ შეკვეთა კი შეიძლება 1, 2-სა და 3 დეკემბერს. მასალის შეკვეთის დროს უნდა წარადგინონ 300 მეტრი ამერიკული ლერწის ბე არა ნაკლებ 4 მან. 13 შაურისა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეკვეთილი მასალა არ დამზადდება. ქუთაისისა და შორაპნის მაზრის მცხოვრებთ დამყნილი ვაზი გარდა ციცქასი არ მიეცემათ.

ფასი „რუპესტრისა და რიპარია რუპესტრის" მომავალ წელიწადს (1914 წ.) ათასი ძირის—თუთხმეტი მანეთი და ათი შაური.

## ქალაქის თეატრი.

შაბათს, 23 ნოემბერს, სახალხო უნივერსიტეტის თეატრალური სექცია გამართავს სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება:

**„ახლანდელი სიყვარული"**

კომ. 4 მოქ. გადმოკეთებული რუსულიდან ვ. აბაშიძის-მიერ.
რეჟისორი ნემო.

## ელექ.-თეატრი „მონ-პლეზირ-ში.

შაბათს, 23 ნოემბერსა სოფელ გუბის **აკაკის** სახელობის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართება სეანსები.
სეანსების დროს დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.

## დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში
(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)
18 ნოემბრიდან გაიხსნება

**დიდი იაფი ვაჭრობა**

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდე ყლურული"** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და [illegible] მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**

## ქუთაისი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

**მუდმივი საწოლებით**

**თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დილით.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12— 2 |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

**საღამოთ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მიწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** ა. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმმა** ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

**აქიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**დაბა ზესტაფონი**
**აქიმი ლ. დ. ნაზაროვი**
მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**აქიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და სალამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**კბილის აქიმი** მახარაშვილი გადავიდა სტეფანოვის სახლში, ბალახვანის ქუჩის დასაწყისი.


## ქუთაისი, 23 ნოემბერი.

ამ ბოლო წლებში უმაღლესი მთავრობა და კაპიტალისტები ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. გადაწყვეტილია კავკასიის სხვადასხვა პუნქტები ერთმანეთს რკინის გზებით შეუერთონ. მომავალ რკინის გზებს სხვადასხვა მიზანი და მნიშვნელობა აქვს. უმთავრესი კავკასიის ულე უტეხილის რკინის გზა ჩვენს მხარეს ცენტრალურ რუსეთს დაუახლოვებს, დიდ მანძილს შეამცირებს და შუაგული რუსეთიდან კავკასიაში მიმოსვლას მეტათ გააადვილებს. სხვა გზებს კი უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. გადაწყვეტილია აგრეთვე ტუაპსე ქვალონს შეუერთონ. შავი ზღვის რკინის გზის საზოგადოებამ და ინჟინერთა საბჭომ, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, კიდეც მოიწონა ქვალონის ვარიანტი. კავკასიის რკინის გზის გამგეობასაც გადაუწყვეტია რამდენიმე შტოთი დაუკავშიროს მთავარ ლიანდაგს ზოგიერთი დაბა-სოფლები. ერთი ასეთი შტო სამტრედიიდან ხონზე გაივლის და მათხოჯამდი მივაო, გადმოქვცემენ გაზეთები. ცხადია, მთავრობისა და კერძო კამპანიების ასეთი მოქმედება სიხარულს მოგვრის ბევრს, რკინის გზა ეს ხომ ეკონომიური ცხოვრების ძარღვია; ეს ხომ თითქმის სასწაულ-მომქმედი ძალაა, იგი სიცოცხლეს ბადებს იქ, სადაც საუკუნეებით მყუდროება და უსიცოცხლობა სუფევდა; იგი ამცირებს დროსა და სივრცეს, ბადებს ვაჭრობა-მრეწველობას; მიყრუებულს, მოწყვეტილ მხარეს კულტურულ ქვეყანასთან აკავშირებს. იგი ძლიერი ფაქტი და ფაქტორია ხალხის ეკონომიური განვითარებისა, იგი ზრდის და აძლიერებს წარმოების ერთ დარგს, ჩაგრავს და კლავს მეორეს თავის სურვილის თანახმათ...

ერთი სიტყვით იგი რევოლუციას ახდენს ხალხის საზოგადოებრივს, ეკონომიურსა და სულიერ ცხოვრებაშიც კი

სახელმწიფო ხაზინას მილიარდები აქვს დახარჯული რკინის გზებზე. რუსეთის სახელმწიფო ვალი, რომელიც ამჟამათ თორმეტ მილიარდს შეადგენს, უმთავრესათ მთავრობის სარკინისგზო პოლიტიკის შედეგია. მთავრობა, განსაკუთრებით სამოცდამეათე წლებში, იძლეოდა ხაზინისათვის ცხადათ საზარალო კონცესიებს თავისი გარანტიით, გამოყიდვის წესებიც ისეთია, რომ რკინის გზის პატრონები ხშირათ დახარჯულ კაპიტალს სავსებით იღებენ ხაზინიდან. მიუხედავათ ამისა, მთავრობა მაინც აქეზებს კერძო კამპანიებს და, ხაზინისათვის პირდაპირ საზარალო პირობებით, აძლევს ამათ კონცესიებს. ასეთი პოლიტიკის საიდუმლოება ადვილი ასახსნელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ სარგებლობას, რომელსაც რკინის გზები ხაზინას აძლევენ. როგორც ზევით ვსთქვით, რკინის გზა ქმნის ახალ სამრეწველო პუნქტებს, აძლიერებს ვაჭრობა-მრეწველობას, თავს უყრის ხალხს სამრეწველო ცენტრებში, ეს კი ერთი ორათ ამრავლებს სახელმწიფო გადასახადის—პირდაპირისა და ფარულის—რაოდენობას; ჩაის, შაქრის, წუმწუმის, ნავთის, არაყის ხმარება ერთიათად მატულობს და ამრიგათ ხაზინას ერთი-ორათ უბრუნდება რკინის გზებზე გაცემული თანხა. ამავე გზით ძლიერდება სამთამადნო მრეწველობა:—რკინისა, თუჯის და ფოლადის ქარხნები დიდ ბაზარს პოულობენ თავის ნაწარმოებისათვის. გარდა იმისა რომ მთავრობა პირდაპირ დაინტერესებულია სამთა-მადნო მრეწველობის აყვავებით, აქ სხვა პოლიტიკაც მოქმედობს. ხსენებულ ქარხანათა ნაწარმოების ბაზრის შემცირება ქარხნების დაკეტვას გამოიწვევდა. ამ ქარხნებში კი თავი მოუყრია რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ათიათასობით მუშას: ყველაზე უფრო გონება გახსნილი, თავის მდგომარეობის შემგნები და რადიკალური მოაზროვნე სწორეთ ამ დარგის მუშებია. ყოველგვარი მოძრაობა პირველათ ამათ შორის იჩენს თავს. მთავრობისათვის ყველაზე საშიშსა და დაუცხრომელ ელემენტს ესენი წარმოადგენენ. ქარხნის დაკეტვისთანავე, ისინი მთელს რუსეთში განიბნევიან და უკმაყოფილების სულს შეიტანენ ყოველ მხარეში და, ვინ იცის, რა შედეგი ექნება ამას. აი, ეს მოსაზრებანი აიძულებენ მთავრობას ასეთი ენერგიით ახალი რკინის გზები აშენოს თვით და აქეზოს კერძო კაპიტალისტები.

ჩვენში, ამ საერთო მოსაზრებათა გარდა, სხვა მიზეზებიც მოქმედებენ. უპირველეს ყოვლისა აქ გზების კეთებამ სახელმწიფოებრივი, სტრატეგიული და პოლიტიკური მიზანი აქვს. სხვადასხვა მხრიდან ჩვენი ქვეყნისკენ მოყავთ რკინის გზის ლიანდაგი. როგორც ჩრდილოეთიდან, ისე შავი ზღვის გზა უმთავრეს კავკასიის ლიანდაგს უერთდება. უეჭველია, შიგნეთ რუსეთიდან აქეთ გადმოსვლა ერთი ათად გაადვილდება, ცენტრი ჩვენს მხარეს დაუახლოვდება. ამ გზების გაყვანით შიდა გუბერნიებში მცხოვრებთ შეუძლიათ ათი ათასობით ჩვენში გადმოსახლდენ, ჩვენს მიწა წყალზე დამკვიდრდენ; აქეთკენ მოიწვევენ მათ, ამ მიზნის განსახორციელებლათ ყოველგვარ ზომას მიმართვენ. სახელმწიფო სათათბიროც მთავრობის ასეთ პოლიტიკას მხარს უჭერს და სურვილს გამოსთქვამს, რომ კავკასიაში გადასახლების საქმე მოწესრიგდეს. ჩვენს ხალხს უმიწაწყლობით სული ხდება, ასეთი მიწის სივიწროვე, როგორც ჩვენშია, თითქმის რუსეთის არც-ერთ გუბერნიაში არ არის. მიუხედავათ ამისა, სათათბირო კი არ გმობს გადმოსახლების პოლიტიკას, პირიქით, მის მოწესრიგებას მოითხოვს. ახალი რკინის გზების გაყვანით მიწა დიდათ გაძვირდება. ჯერ დღესაც ყოველის მხრიდან გვესმის, რომ ჩვენი მამულები უცხოთა ხელში გადადის. მიწის ფასის აწევა ხომ უფრო დიდ მადას გაუღვიძებს ჩვენი პირველი წოდების წარმომადგენლებს, ისინი უფრო შეეცდებიან, რაც შეიძლება მალე, ხელი აიღონ მამაპაპულ ადგილებზე... დღეს თუ ამ სამწუხარო ფაქტს აქა-იქ ადგილი აქვს, მაშინ ხომ სისტემატიურ ხასიათს მიიღებს. მიწა დღეს ამოძრავებულია, ეს პროცესი ახალი რკინის გზების წყალობით უფრო გაძლიერდება.

და ჩვენ კი შეგნებული გვაქვს მდგომარეობის სიმწვავე?

# დღიური

მეფე ფერდინანდმა სავოვი მიიღო საუდიენციოთ და წმინდა ალექსანდრეს ჯვარი უბოძა.

— გერმანიის რეიხსტაგში ცამერნის ამბების შესახებ შეკითხვას იხილვენ.

— სომეხთა წარმომადგენლების კრებაზე მილიუკოვმა სთქვა: „ევროპამ უნდა იმოქმედოს ოსმალეთზე და სომხეთში რეფორმები განახორციელებიოსო."

— ჭეშმარიტ-რუსთა კავშირის წევრთ განზრახვა აქვთ იუშჩინსკს ძეგლი აუგონ და იშვამდგომლონ, რომ [illegible] რათი ყველა უნივერსიტეტში გამოვი[illegible]დონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი პარიზში სომეხთა კონფერენციის დადგენილებას იზიარებს და თანახმაა, რომ ოსმალეთს ფინანსიური ბოიკოტი გამოეცხადოს.

— საფრანგეთში ბარტუს კაბინეტი სამსახურიდან გადადგა.

# ახალი ამბავი.

ქალაქის მოურავს, ი. მ. ჩიქოვანს წერილი მოუვიდა თფილისში პოლიტეხნიკუმის ამშენებელი მთავარი კომიტეტის თავჯდომარისაგან, რომელიც აცნობებს მას, რომ მთავარი კომიტეტის წევრათაა ჩარიცხული და სთხოვს დაესწროს კომიტეტის სხდომას, რომელიც დანიშნულია 27 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე მეფის მოადგილის საბჭოს დარბაზში. რადგან ბ-ნი ჩიქოვანი ამჟამათ თფილისში იმყოფება, ქალაქის გამგეობამ დეპეშით აცნობა მას ეს ამბავი და სთხოვა კომიტეტის სხდომაზე დასწრება.

✦ ამჟამათ ქუთაისის ბაზარზე სოფლიდან სანოვაგეთა შემოტანა ძლიერ შემცირდა, რის გამოც მოქალაქენი დიდს ნაკლულოვანებას გრძნობენ.

✦ ქუთაისის ბაზარზე გლეხობას შემოყავს ბევრი საქონელი, რომელსაც უსაკვებობის გამო მეტათ მცირე ფასათ ეძლევა.

✦ ორშაბათს, 25 ნოემბერს, იქნება ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. განსახილველია 24 საქმე. მათშორის ქალაქის გამგეობის მოხსენება 2,275,000 მანეთის სესხის აღებისა და ამ ფულით სხვადასხვა მუნიციპალური საქმის განხორციელების შესახებ; გუბერნატორის წინადადება შესახებ იმისა, რომ ქალაქმა დახმარება აღმოუჩინოს იალტაში პოლიციის მოსამსახურეებისათვის სახელმწიფო სანატორიუმის დასაარსებლათ; ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს ყოფილი მდივნის ნიკიფორე კანდელაკის თხოვნა ერთდროული დახმარების შესახებ; ავიატორის ბ. ქებურიას თხოვნა ერთდროული დახმარების შესახებ აეროპლანის მოტორის შესაძენათ და სხ.

✦ ქალთა საზოგადოების მიერ გამართულმა საღამომ ხალხი ბლომათ მიიზიდა საკრებულოს დარბაზში. საკონცერტო განყოფილება საერთოდ სუსტი იყო. სარაჯიშვილმა მოხდენილათ შეასრულა რამდენიმე ხმა და დაატკბო საზოგადოება.

✦ რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო ბ. ნესტარის წერილების—„ერთგული საკითხის" ბეჭდვა შესწყდა.

✦ ხვალ ქალაქის თეატრში გაიმართება ლიტერატურული საღამო.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ლეჩხუმელი ქალიშვილი ელისაბედ სივსივას ასული, მამით ობოლი და შემოგვჩივლა, რომ მისი უმცროსი და, 11 წლის გოგო ვერა, რომელიც ქუთაისში მოსამსახურეთ ყოფილა ვინმე ნ. იაკ—თან, 12 ამ თვეს დიასახლისის სასტიკი მოპყრობის გამო სადღაც გაპარულა. ეს ამბავი მამინაცვალმა გამოუცხადა პოლიციას, მაგრამ ჯერ ბავში ვერ ამოაჩინეს.

✦ მევენახობისა და მეღვინობის ქუთაისის კომიტეტი სოფელ ფარცხანაყანევში საცდელ ვენახს აკეთებს. ვენახის გაკეთებას მევენახობისა და მეღვინობის სპეციალისტი ბერეკაშვილი განაგებს.

✦ მიწისმოქმედების მთავარი სამართველოს წარმომადგენელი კავკასიაში შაშკოვსკი პეტერბურგს გაიწვიეს ხსენებული უწყების დაწესებულებებში მოსამსახურეთა შტატის გადიდების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

✦ როგორც „ბით. ვესტი" იუწყება ფოთში რუსეთის სავაჭრო-სანავოსნო საზოგადოების მუშათა გაფიცვა დასრულებულა. მუშებს მოთხოვნილებათა ერთი ნაწილი უკანვე წაუღიათ და ბეთ მიცემული ფულებიდან 4 ათასი მანეთიც მიუციათ საზოგადოებისათვის დასაფარავათ იმ დეფიციტის ნაწილისა, რომელიც გაფიცვის გამო სავაჭრო-სანავოსნოს საზოგადოებას მისვლია.

## მოწერილი ამბავი.

ახალ-სენაკიდან გვწერენ:—10 ნოემბერს, დღის 3 საათზე უნდა ეფრინა ბ. ქებურიას. დილიდან დიდი სიჩქარით შეუდგა ჰაეროპლანის შეკეთებას, რომელიც ჩამოფრენისას დაუზიანდა; მეთხე საათზე საფრენ მოედანზე მოიტანა აპარატი, სადაც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, მაგრამ სამწუხაროთ დიდი უმრავლესობა უბილეთოთ შემოსულიყო, რაც აიხსნება ადმინისტრაციის დაუდევრობით. ბ. ქებურიამ ბოქაულს უსაყვედურა, რომელიც იმ დღეს წესრიგს იცავდა; ბოქაულმა უშვერი სიტყვებით გასცა პასუხი: მაზრის უფროსის თანაშემწემ კი ბოქაულს გადააჭარბა და „ნახალათაც" მონათლა ავიატორი ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ფრენაც შეუძლებელი შეიქნა და ქებურიაც სიტყვის შეუბრუნებლათ ავიდა აეროპლანზე და გაააცხადა: ბილეთები დააბრუნეთ, ფული უკანვე მიიღეთო. სამწუხაროთ, ორიოდე კარგათ შეძლებულმა პირმა—ფული მოგვეცი და არ გვინდა შენი ფრენაო—დაიძახა. ხალხი კი დუმილით შეხვდა ყველა ამას.

ჩაუბარებელი დეპეშების სია ქუთაისში. 20 ნოემბერს 1913 წ. 1) თფილისიდან ანჩაბაძეს, № 2413; სოჩიდან მატახერიას № 1567; თფილისიდან მასწ. ქურდევანიძეს № 240101.

## სახელმწიფო საბჭო.

20 ნოემბრის სხდომა.

აკიმოვი თავჯდომარეობს. თორმეტ კანონპროექტს უკამათოდ ღებულობენ. ამათ შორის არის კანონპროექტები ნაფიცმსაჯულთა დანიშვნისა და მუშათა დაზღვევის შესახებ. იხილვენ კანონპროექტს, რომელიც ეხება სღვთო სჯულის მასწავლებელთა შრომის დაფასებას. ბირილევი წინადადებას იძლევა, ეს პროექტი განსახილველათ საკანონმდებლო წინადადებათა კომისიას გადაე-

# „ნ ა გ ა ვ ი".

## შიუკაშვილის ახალი დრამა ქართულ სცენაზე.

ბოდიშს ვიხდი „ერის" მკითხველების წინაშე, რომ რეცენზია დამიგვიანდა; მაგრამ შიუკაშვილის ახალმა ნაწარმოებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ ახლაც კარგათ ვერ გამოვერკვიე ამ შთაბეჭდილებისგან: ათასგვარი საკითხი მებადება, რომელზეც პასუხი ვერ გამიცია. მხოლოდ ეს საკითხები გამოწვეულია არა თვით დრამით, როგორც ღირსეული სალიტერატურო ნაწარმოებით, არამედ იმით—რა ზომამდი მისულვართ, თუ ასეთი ნაწარმოების წარმოშობა შეეძლო ქართულ აზროვნებას.

უპირველეს ყოვლისა ვეცდები გავაცნო საზოგადოებას ახალი დრამის შინაარსი, რაც შეიძლება ვრცლათ, რადგან იგი, ჩემი აზრით, თითონვე დამამტკიცებელი იქნება იმისა, რასაც შემდეგ ვიტყვი ამ დრამის შესახებ.

პირველი მოქმედება: სახელმწიფო სასწავლებლის გამგე შემოდის ამავე სასწავლებლის მასწავლებელის პეტრე გიორგაძის სახლში. მას მიეგებება პეტრე გიორგაძის მეუღლე. გამგე პეტრეს მეუღლეს ატყობიებს, რომ პეტრე გიორგაძის დათხოვნა სასწავლებლიდან გადაწყვეტილია. მისმა შუამდგომლობამ და მფარველობამ არ გასჭრა. თანაც გამგე კიცხავს ცოლის წინაშე პეტრეს საქციელს. ერთმა თავხედმა მასწავლებელმა ქართველები ცუდათ მოიხსენია, მერე რა მოუვიდოდა ამით ქართველებსაო, რა საჭირო იყო ხმის ამაღლება და ერთი აურზაურის ატეხაო. გარდა ამისა პეტრემ მთელი მასწავლებლების ავტორიტეტი დასცა მოწაფეთა შორის თავისი „იაფფასიანი" პოპულიარობითაო. ცოლიც გაჯავრებულია პეტრეზე და, გამგის სიტყვებით წაქეზებული, ქმრის საქციელს გმობს და გამგეს თანაგრძნობით ეპყრობა. შემოდის პეტრე, რომელიც მაინცადამაინც არც ისე დაულონებია სასწავლებლიდან დათხოვნას. იგი იმედებითაა სავსე. იდეალისტ ადამიანს სწამს, რომ ქართველ საზოგადოებაში შეიძლება მუშაობა, ქართველი კაცი უმოხელეობითაც გასძლებს. შემოდიან გაზეთი „სხივი"-ს რედაქტორი და თანამშრომლები კოტე და თეოფილე. კოტე მუდამ ოხუნჯობს, თეოფილე კი, თუ იტყვის რასმე, თვითონაც ვერ გაუგია, ისეთს იტყვის, ყოფილი სემინარიელი რაღაც მაჯლაჯუნას ტიპია. კოტეც და თეოფილეც ალკოჰოლიკებია: ისინი თანაგრძნობას უცხადებენ პეტრეს. რედაქტორი კი ეუბნება, რომ მოხელობა მისი საქმე არ იყო და სთხოვს გაზეთის მუდმივი თანამშრომელი გახდეს. შემოდის პეტრეს ორი მოწაფე და თანაგრძნობას გამოუცხადებენ მას. ერთ მოწაფეს უცელქია ოდესღაც და მისი ცელქობის დროს პეტრეს კალმის ტარი გადაუმტვრევია ჯავრით, მაგრამ მოწაფისთვის კი ჩაუნერგავს მისდამი სიყვარული. ამ მოწავეს ეს კალმის ტარი ოქროს რგოლით შეუერთებია. და ეხლა მოუტანია ძღვნათ, სახსოვრათ. პეტრე მეუღლეს ეუბნება: „შეინახე ეს ძვირფასი კალმის ტარი ჩვენი შვილებისთვის... შეიძლება, მხოლოდ ეს დარჩეს მათთვის მემკვიდრეობათო. მაგრამ ცოლი ბრაზით მოიცილებს პეტრეს გაწვდილ ხელს.

მეორე მოქმედება „სხივის" რედაქციაში. თავიდანვე გამოირკვა, რომ ძირითადი პრინციპები პეტრესა და „სხივის" რედაქციის შედგენილობისა სრულებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. რედაქცია ღარიბია, რეალობისაკენ უფრო მიილტვის, მხოლოდ უფასო მასალა კი იყოს და სულ ერთია როგორიც იქნება ის; გარდა ამისა რედაქტორს არ მოსწონს პეტრეს უკიდურესი იდეალისტობა. პეტრესა და რწმენა რყეულ თანამშრომლებს შორის ხშირათ უთანხმოება ხდება ხოლმე. რედაქციაში მსახურობს აგრეთვე თავ. რევაზ ბარგველიძის ასული ანეტა, რომელიც ოდესღაც პეტრეს მოწაფე იყო და ახლა პეტრე უყვარს; ამ სიყვარულის გამო მან მიატოვა სიმდიდრე და რედაქციაში მსახურობს, რათა პეტრესთან მუდამ იყოს. იგი ერთადერთი ადამიანია მთელს რედაქციაში, რომელიც პეტრეს თანაუგრძნობს. ეუბნება პეტრეს, რომ მისა და რედაქციის სხვა წევრებ შორის საერთო არა არის, სულიერ კავშირზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ამავე მოქმედებაში, გამოირკვევა, რომ ბანკის გამგის ადგილი გათავისუფლდა და ახალი კანდიდატების დასახელებაა საჭირო. სხვათა შორის, ასახელებენ მდიდარს ღენერალს თავ. რევაზ ბარგველიძეს, ანეტას მამას. პეტრე ამ კანდიდატურის წინააღმდეგია. რედაქციაში შემოდის თვით ბარგველიძე. რედაქტორი დაფაცურდება. მის წინაშე ყურმოჭრილი ძაღლივით იქცევა, ლაქუცობს, მლიქვნელობს: ფარეშისავით წამოსახსამს ჩამოართმევს; ღენერლის მიერ გაწვდილ ორ თითს ორივე ხელებით ეგებება. შემდეგ ჩამოუგდებს საუბარს ბანკის გამგის კანდიდატობაზე და, რათა ასიამოვნოს, პირდაპირ ეუბნება: ჩვენთვის საუკეთესო და სასურველი კანდიდატი თქვენა ხართო. თ. ბარგველიძე გადაკრავს, რომ კარგი იქნება ასეთ რედაქციას ბანკმა დაუნიშნოს რამოდენიმე ათასი, ან თვით იდვას თავს გაზეთის გამოცემაო. შემდეგ უმნიშვნელო განცხადებას აძლევს ძაღლის დაკარგვის შესახებ და მოწიწებით თავდახრილ რედაქტორს, თითქოს „ნაჩაია"-ო, ხელში თუმნიანს ჩაუდებს. ცოტა ხანს შემდეგ პეტრე და ანეტა მარტოკა დარჩებიან. ანეტა ველარ იმაგრებს თავს და პეტრეს სიყვარულს უხსნის. პეტრე გაოცებულია, იგი გონს ვერ მოსულა და ზიზღით იშორებს ქალს თავიდან. რედაქციაში შემოდის ვინმე მდიდარი მანდოიანცის მოურავი ქართველი თავადი. როდესაც გაიგებს პეტრეს ვინაობას, შემდეგ წინადადებას აძლევს: გლეხებთან საქმე გაგვირიგე, ნუ ამხედრებთ მანდოიანცის წინააღმდეგ მამულის „გძელი ველი"-ს ყიდვისათვის, სულ ერთია, ბოლოს ეს მამული მანდოიანცს დარჩებაო. სამაგიეროთ პეტრეს ფულს შეაძლევს. პეტრე თავდავიწყებული თავადს გზას უჩვენებს. ამ ამბის გაგება მეტათ არ ესიამოვნა დაბრუნებულ რედაქტორს, ეს არის მიზეზი, რომ პეტრე განშორდება „სხივის" ბანაკს და აარსებს საკუთარ გაზეთს.

მეორე მოქმედება: პეტრემ გამოსცა საკუთარი გაზეთი, რედაქციასთან აქვს ბინაც. ანეტა მასთან მსახურობს. პეტრე განაგრძობს ბრძოლას „სხიველებთან" და მანდოიანცთან, მამულების გადარჩენა გლეხებისათვის idèe fixe-ათ გადაექცა. მას შვილი ძლიერ ავათ ყავს ქუნთრუშით, ცოლი ცრემლით ევედრება მოიწვიოს აქიმი, მაგრამ პეტრეს არაფერი ესმის, იგი აბსტრაქციათ გადაქცეულა. მხოლოდ ის ახსოვს, რომ დღეს უნდა გათავდეს სასამართლოში საქმე მანდოიანცისა და გლეხებს შორის. გლეხებმა თანდათანობით შესცვალეს პეტრეს წყალობით შექმნილი აზრი. მანდოიანცი მათ დიდ ფულს აძლევს, ოღონდ მამული დაუთმონ. ყველა თანახმაა გარდა ორი გლეხისა, რომელნიც ერთგული არიან პეტრესი. შემოდის მანდოიანცის მოურავი თავადი; პეტრეს ეხვეწება—გლეხებს ნუ დააკარგვიებს ამ ფულს. გლეხების წარმომადგენელიც ამასვე სთხოვს. მაგრამ პეტრე კიცხავს გლეხს, უკიჟინებს სინიდისის დაკარგვას, ამ დროს მანდოიანცის მოურავს დეპეშა მოუვა: „საქმე მოვიგე"-ო; „ახლა კაპიკსაც ვერ მიიღებთ".—ამ სიტყვებით მოურავი მიდის. პეტრე კი მოუჯდება სუფრას და ხვალინდელი გაზეთისათვის ამზადებს ცხარე მოწოდებას. ტირილით გამოვარდება მისი მეუღლე ტასო. ბავში მოკვდა. პეტრე თავზარდაცემულია. ცას უკიჟინებს უსამართლობას. გაახსენდება მოწოდება და ეუბნება ახლავე გაგზავნონ ასაწყობათ. მაგრამ ხვალ გაზეთი არ გამოვა ვალების გამო. პეტრე გადის ოთახში, შემოდის შკოლის გამგე, რომელიც თანაგრძნობით გადაეხვევა პეტრეს მეუღლეს. ტასოც გულზე თავს მიაყრდნობს. ამ სცენას პეტრე შეასწრებს. იგი თავის ჭკუაზე არ არის. შემოსულ ანეტას წაავლებს ხელს და ჩაიხუტებს გულში, მასში გაიღვიძებს მხეცური ინსტიკტი, უნდა ქალზე ძალა იხმაროს, მაგრამ ანეტა ხელიდან გაუსხლტება.

მეოთხე მოქმედება: თავ. ბარგველიძემ გაიმარჯვა, მის სახლში მეჯლისია. ბაღში ხის ძირში სუფრას უსხედან „სხივის" რედაქტორი და მისი თანამშრომლები—კოტე და თეოფილე. სუფრაზე რამდენიმე ათეული დაცლილი ბოთლი სდგას. სამხედრო მუსიკა უკრავს.—„არისტოკრატია მხიარულობს. ცეკვავენ ევროპიულათ. სახლიდან გამოდიან გასასეირნებლათ ოფიციალური „დამებით", კადეტები გიმნაზიელი ქალებით და სხვა. ყველა რუსულათ ლაპარაკობს. ყველა ძლიერ გართულია ფლირტით. დარბაზიდან ყველა გამოვა და ეზოში (სცენა) ერთი თავადის ასულთაგანი უშნოთ ითამაშებს ლეკურს (ალბათ ავტორს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ლეკურიც დავიწყებიათ). ყველა ისევ დარბაზში მიდის. მანდოიანცის მოურავი თავადიც აქ არის. იგი დაინახავს ორ მოქეიფე თავადს; ორივე მისი მაძებარია, სად დალიონ ღვინო და ან სად იტლინკონ. მოურავი ეკითხება: მამულები ხომ არ გაქვთ გასაყიდი, კარგ ფულს მოგცემთო. თავადები ჯერ მას გოდებით შეხედვენ, შემდეგ ერთმანეთს შეხედვენ და დაიფრუტუნებენ. ეზოს კედელზე ამოფორთხდება შეშლილი პეტრე:—„ყიყლიყოოო"! სუფრიდანაც შესძახებენ „ყიყილიყოს". პეტრეს გამოიყვანენ გალოშილი ჟურნალისტები და თავადები ღვინოს ასმევენ, სიტყვებს წარამარა ათქმევიებენ; ჟურნალისტი კოტე ეუბნება: როგორ იყო, ანეტამ რომ უარი გითხრაო... კოტე გაახსენებს ბავშის სიკვდილს, პეტრე ცოტათი გონს მოვა და ტირის. გამოვა ანეტა და ყველას ოთახში იწვევს. ყველა მიდის, დარჩება პეტრე, რომელიც სთხოვს ანეტას მასთან დარჩეს, პეტრე ემუდარება დანებდეს მას, ქალი, რასაკვირველია, შეშლილს უარს ეუბნება. პეტრე სტაცებს ხელს და ძალადობას მიმართავს, წააქცევს ქალს და დაახრჩობს. ამით სრულდება დრამა.

შიანური.

(დასასრული ხვალ).

ცეს. ბირილევის წინადადებას საბჭო, 79 ხმით წინაალმდეგ 63 ხმისა, უარყოფს. იწყებენ პროექტის განხილვას. ვარშავის მთავარეპისკოპოზი ნიკოლოზი აღნიშნავს, რომ ეს პროექტი არამართლმადიდებელ სარწმუნოების ხალხს უფლებრივათ მართლმადიდებელ ხალხთან ათანასწორებს. ორატორი მაჰმადიანებისა და ბუდისტების მართლმადიდებლებთან გათანასწორების გამო პროტესტს აცხადებს. ის ამბობს: სამხედრო მინისტრი ზრუნავს მაჰმადიანთა სასარგებლოთ და ივიწყებს ქრისტიანებს. სახელმწიფო საბჭომ ეს კანონპროექტი უნდა უარყოსო. საბჭო, 81 ხმით წინაალმდეგ 65 ისა, კანონპროექტს ღებულობს. საბჭო ირჩევს შემთანხმებულ კომისიას სავალდებულო განცხადებათა შესახებ პროექტის განსახილველათ. კომისიაში მოხვდენ ავდაკოვი, ზუბაშევი, ლუკიანოვი, მაკაროვი, შებეკო და სხვანი. შემდეგი სხდომა 27 ნოემბერს მოხდება. განიხილვენ კანონპროექტს პოლონეთის ქალაქებში საქალაქო თვითმართველობის შემოღების შესახებ.

## აქ-იქაური.

სომხური გაზეთი გამოდის ერთი თფილისში—„ორიზონი“, რომლის აზრის ჰორიზონტსაც ვერ მივწდომივარ. გაზეთი სამართლიანათ სწერს და სწუხს, რომ ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ შესაფერ ადგილს შესაფერი ძეგლები არ უდგიათო. მაგალითად—რატომ არ შეიძლება, ძეგლი აეგოსო აბოვიანს ერივანში, ვეზიროვს ბაქოში და შოთა რუსთველს ქუთაისშიო.

ჯერ ერთი—პატარა, პატარა კი არა კარგი დიდი მეტიჩრობაა, როცა აბოვიანებსა და ვეზიროვებს რუსთველთან იხსენიებს გაზეთი. მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ვარსკვლავს სიტყვისას და პოეზიისას არვინ გვეგულება თანამედროვეთაგანი—გვერდით ამოუყენოთ, მასთან ერთ საფეხურზე დავსვათ, მასთან ვახსენოთ... ამ მხრით ჩვენი ამბავიც ვიცით და ჩვენი მეზობლის თანამოძმეებისაც.

მერე კიდევ—უკეთუ საქმე რუსთველის ძეგლის დადგმაზე მიდგება, ამ ქართული პოეზიის მოძღვარს და ლექსის, სიტყვის მამამთავარს, ცხადია, საქართველოს მთავარს ქალაქში უნდა აემართოს ძეგლი, თფილისში და არა სხვაგან... ღირსეულს ღირსეული უნდა მიეძღვნას... „ორიზონს“ ვერ შევეცილებით, თავისი ერის მოღვაწენი, თუ მწერალნი ძეგლის სახით იქ აღადგინოს, საცა მოესურვება, ხოლო ჩვენი ქალაქების განაწილება ჩვენ მოღვაწეებისთვის „ორიზონს“ არ ეკითხება.

დ.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.).

### რ უ ს ე თ ი.

**კიევი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა: აიღოს საობლიგაციო სესხი ერთი მილიონი მანეთის.

**ბოდაიბო.** საშვალო შკოლათა დამაარსებელი კომეტეტი შვამდგომლობს ქალაქის წინაშე, რომ ქალაქში ელექტრონის სადგურის დაარსების ნებართვა მიეცეს.

**იალტა** კოკოვცოვი და ჯუნკოვსკი მოვიდა.

**ურალსკი.** 18 ნოემბერს შავიჭირით სამი კაცი გახდა ავათ და ხუთი მოკვდა. 19 ნოემბერს შავიჭირით სამი ყირგიზი გახდა ავათ.

**პეტერბურგი.** სამინისტრომ ხალხის აღწერის პროექტის შემუშავება დაასრულა.

### უ ც ხ ო ე თ ი.

**პარიზი.** პუანკარემ ბარტუს კაბინეტის სამსახურიდან გადადგომა შეიწყნარა. სამინისტროს კრიზისია და ეს მდგომარეობა ყველამ სერიოზულათ აღიარა. ბარტუს კაბინეტის გადადგომა სესხის აღების საკითხის გამოურკვეველ დრომდი გადადებამ გამოიწვია: ისეთი ხარჯი იყო, რომ სესხის აღება აუცილებელ საჭიროებას შეადგენდაო. კაბინეტის გადადგომა სხვა მიზეზებმაც გამოიწვია.

**ლონდონი.** ისტჩერა მახლობლათ ჩამოვარდა ჰაეროპლანი და ავიატორი ლემინგიული მოკვდა, ხოლო მისი თანამგზავრი მეჩკო დაშავდა.

**სოფია.** სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოების გამანაწილებელი კომიტეტი უარყოფს გავრცელებულ ხმებს, ვითომც საზოგადოებას სახელის შეცვლა განეზრახოს. საზოგადოება ისევ ძველ გზას ადგია და ხელს შეუწყობს სლავიანთა სახელმწიფოების მეგობრულ დამოკიდებულებასა და მათ გაერთიანებას.

**სტამბოლი.** ამბობენ, მუსტაფას თვითონ არ მოუკლავს თავი, ის სამხედრო სასამართლომ დასაჯაო. წვალების შემდეგ მას ძალა დაატანეს ეთქვა: ვითომ საზღვარგარეთ შეთქმულობა მზადდებოდეს. ოსმალეთის მთავრობამ აუკრძალა ადგილობრივ გაზეთებს მუსტაფას შესახებ ცნობების დაბეჭდვა და აგრეთვე იმის შესახებ, რომ დიდმა ვეზირმა რუსეთის ელჩის წინაშე ბოდიში მოიხადა.

**სოფია** 1400 სამხედრო ტყვე გემი „ვარლუთი“ მოიყვანეს. მინისტრ—პრეზიდენტმა ტყვეები გემზე ინახულა.

**სტამბოლი** სომეხთა პატრიარქმა და სომხურმა გაზეთმა „აზადამარმა“ სომხეთის რეფორმების გამო ოსმალეთის ახალგაზრდობისაგან მუქარის წერილი მიიღო. სომეხთა და ბერძენთა ეკლესიები ვიღაც უცნობებმა შავებით შემოსეს. მთავრობამ ამის შესახებ ცნობების ბეჭდვა აკრძალა, დამნაშავეებს მე თვითონ აღმოვაჩენო.

**ვენა.** პეტერბურგში მომხდარ რუსეთ-გალიციის საზოგადოების კრების გამო „ნეიე-ფრეიე-პრესე“ სწერს: შესაწყნარებელია თუ არა, რომ ავსტრიის პალატის დეპუტატმა დამოკიდებულება იქონიოს მონარქიის უბოროტებს მტერთან. ასეთი დეპუტატი ავსტრიის რეიჰსრატმა უნდა გამორიცხოს.

**პარიზი.** რადიკალური პრესა და კლემანსოს ორგანო ბარტუს კაბინეტის დაცემას მის მარჯვნით გადახრაში ხედვენ. ხსენებული გაზეთები კაბინეტის გადადგომის გამო სიხარულს გამოსთქვამენ.

**ბერლინი.** რეიხსტაგი ცაბერნში მომხდარი ამბების შეკითხვის განხილვას შეუდგა. სხდომას დაესწრენ: იმპერიის კანცლერი, მინისტრები და მრავალი სამხედრო პირი. სხდომის დარბაზი ხალხით გავსებულია. პროგრესისტთა ორატორი აცხადებს, რომ დიდი იმედი გვქონდა ელზას—ლოტარინგიის მშვიდობიანი გზით განვითარებისაო. ორატორის აზრით, მომხდარი ამბავი კულტურულ მხარეს არ შეშვენის. იგი ვრცლათ შეეხო ამ ამბის ისტორიას და ბოლოს, დასკვნის დროს, აღნიშნა ყაზარმებში ჯარისკაცთა უნუგეშო მდგომარეობა. დარბაზში ხმაურობენ. შეკითხვის შესახებ ილაპარაკეს სოციალისტთა სხვა ორატორებმაც.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში პოლიციის შეტაკების შესახებ შეკითხვის გარჩევის დროს რესპუბლიკანელმა დეპუტატმა კაუდენციმ დაიყვირა: ძირს სავოიონიო. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პროტესტი განაცხადა და დაიყვირა: გაუმარჯოს მეფესო. პალატა გარდა მემარცხენე ფრთისა ფეხზე წამოიშალა.

**ბერლინი.** სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ყველა დიდი სახელმწიფო დათანხმდა პრინც ფიდის ალბანეთის მთავრათ დანიშვნაზე.

**რომი.** რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის საზონოვის ძმის სიკვდილის გამო ადგილობრივმა გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვს სამძიმრის დეპეში გაუგზავნა.

**ბელგრადი.** გაზეთმა „პიემონტმა“ რუსეთს მეთაური წერილი უძღვნა. წერილში აღნიშნულია რუსეთის პოლიტიკა ბულგარლებისა და სერბიელებისადმი. რუსეთი წინათ ბულგარლების მხარეს იყოვო, და ეს სამწუხაროთ დაურჩათ სერბიელებსო.

**სოფია.** მეფე ფერდინანდმა საუდიენციოთ მიიღო ღენერალი სავოვი. მეფემ ღენერალს წმინდა ალექსანდრეს დიდი ჯვარი უბოძა.

**ბერლინი.** რეიხსტაგის სხდომა გაიხსნა. სხდომაზე დიდძალი ხალხია მოსული. მსჯელობენ ცაბერნში მომხდარი ამბების შესახებ. პრეზიდენტი მოაგონებს დეპუტატებს გუშინდელ არეულობას და მოუწოდებს: წესიერებას ნუ დაარღვევთო.

**სოფია.** „როსიაში“ მოთავსებული მთავრობის ოფიციალური ცნობა ბულგარეთის გაზეთებმა მწუხარებით აღნიშნეს.

## სიმღერა.

სატრფო ტიროდა მე ვუყურებდი,  
სატრფო ტიროდა, მე ვიცინოდი,  
სატრფო ტიროდა, მე ვამშვიდებდი,  
სატრფო ტიროდა და მეც ვტიროდი.

მე რა ვიცოდი, თუ ტიროდა ბედსა წარმავალს  
და იმ ტირილით მომითხრობდა მწარე მომავალს?!  
ახლა ვიცანი ჩემთა ტანჯვათ წინასწარ მთქმელი  
და ვიხსენიებ სიობლეში ცრემლთა დამთქმელი...

—

შეტრფობილთ გულმა ამომხეთქა ვაებათ, კვნესათ  
და მათ ცრუობას მე ვქვითინობ მწუხარე ლექსათ...

—

დღეს ვმღერი, სატრფოვ, თუმცა ცრემლი თვალს არ აშრება  
და სიმღერაშიც გული ჩემი კვნესს, იბასრება.  
სატრფოვ, იმედი გამოვგზავნე, მოძებნა მსურდა,  
მაგრამ დავკარგე... ოვით იმედიც არ დამიბრუნდა.  
ჩემს გულს, ვით მოსეს წმინდა ბუჩქსა, ცეცხლი ეგლება,  
მაგრამ, ვით სული, არ იწვება, არ იფერფლება...  
ნეტავ, თუ არის დასასრული, ბოლო გოდებაზ?!  
დიდია ტანჯვა, ვით დიდია კაცთ შეცოდება!

მწედლიშვილი.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა, 293 ხმით წინაალმდეგ 54 ხმისა, კიცხვა გამოუცხადა იმპერიის კანცლერს ცაბერნის ამბების გამო.

**პარიზი.** პუანკარემ ბარტუ ორჯერ მიიღო. პრეზიდენტი ესაუბრა ფინანსიური კომისიის შესახებ.

## ქალთა საზოგადოების საღამოზე.

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს ქუთ. საკრებულოს დარბაზში ქალთა საზოგადოების ნივთიერი სახსრის გასაძლიერებლათ გაიმართა საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა სეგალისამ (პიანინო), კასპაროვიჩისამ (სიმღერა) და თფილისის საოპერო დასის მსახიობმა ბ-ნმა სარაჯიშვილმა. საზოგადოება უმთავრესათ ამ უკანასკნელმა მიიზიდა, დარბაზი ხალხით გატენილი იყო. მომღერალმა შეასრულა რამდენიმე რომანსი რუსულ, იტალიურსა და ქართულ ენებზე. ბ-ნი სარაჯიშვილი ჩვენი საზოგადოების ძველი ნაცნობია. მას ლამაზი და ტკბილი ხმა აქვს, საკმაოთ დამუშავებული. ამ საღამოს ჩვეულებრივზე უფრო სუსტი იყო. საზოგადოება მაინც მეტათ კმაყოფილი დარჩა მისი სიმღერით. ითამაშეს, არ ვიცით, რისთვისა და ვისთვის ერთი მეტათ მოსაწყენი ვოდევილი ამ განყოფილებათა შემდეგ ტრადიციული ლეკურით გაიხსნა ბალი, რომელიც ღამის სამ საათამდი გაგძელდა.

## ხმა პეტერბურგიდან.

როგორც ამას წინათ ვსწერდით—28 ოკტომბერს დაკავებულ სტუდენტებს მატრიკულები და შესასვლელი ბილეთები ჩამოართვეს. მეორე დღიდანვე მათ აეკრძალათ უნივერსიტეტში სიარული, შესასვლელ კარებთან ორი დღე პოლიციელთა რაზმი გადაწერილ სტუდენტთა სიით ხელში დარაჯობდა.

სტუდენტთა სია გაეგზავნა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ს. პრუტჩენკოს, რომელმაც დაიბარა სტუდენტები თავის კანცელარიაში და სათითაოთ ჩამოართვა ჩვენება. ამ პირისპირი საუბრიდან მზრუნველი დარწმუნდა, რომ უმეტესობა უდანაშაულოა. გაიგო ისიც, რომ უმრავლესობა სრულიად შემთხვევით მოხვდა სიაში—მათ ლექციები ქონდათ, და როდესაც გამოვიდენ აუდიტორიებიდან გასასვლელი კარები უკვე პოლიციელებით იყო სავსე.

როდესაც განათლების მინისტრი კასო დაბრუნდა პეტერბურგს, პრუტჩენკომ გააცნო საქმის ვითარება. კასომ გამოსთქვა ის აზრი, რომ საჭიროა უტიფარ სტუდენტთა ალაგმა, რათა მოისპოს ასეთი მოუსვენრობა და საზიზღრობაო.

საქმე დაბოლოვდა იმით, რომ სუყველას, ოცდარვა სტუდენტს გარდა, დაუბრუნეს ბილეთები და ამათ კვლავ განაგრძეს უნივერსიტეტში სიარული.. ხოლო იმ ოცდა რვათაგან ხუთი გამორიცხეს უნივერსიტეტიდან, რადგან ისინი შემჩნეული იყვნენ 1911 წელს არეულობის დროს, დანარჩენთა ბედი, რომელნიც მეორეჯერ მოხვდენ სიაში, არ არის გადაწყვეტილი.

ქართველებს, ვინც კი იყო შეტანილი სიაში, ბილეთები დაუბრუნეს.

12 ნოემბერი. ს. ყ.

## უბედური შემთხვევა.

ორშაბათს, 18 გიორგობისთვეს, ქუთაისიდან 12 ვერსის მანძილზე, რიონის საზოგადოების ს. ზარათში შემდეგი უბედურება დატრიალდა: დილას, როდესაც პატარა მოსწავლეები ადგილობრივს სამინისტრო პირველდაწყებით შკოლაში მიდიოდენ, ალექსი გრიგოლაშვილის ბავშები, ათი წლის ვაჟი და რვა წლის ქალი, და-ძმანი,—ხელიხელი ჩაკიდებული გადიოდენ გიქმაჟი ღელის „მხეციას“ ვიწრო ძელის ხიდზე; რადგანაც ამ ხიდს მოაჯირი არ ქონდა, საცოდავთ შუა ხიდზე ფეხი დაუცდათ, თავი ველარ შეიმაგრეს და ორივე გადაცვინდენ, კოკისპირული წვიმის გამო, ძალზე ადიდებულ წყალში; ღელემ ბავშები ჩაიტანა მდ. რიონში; ამ დროს გაუჩნდენ მცურავი მეტივეები, რომელთაც წაართვეს მდინარეს საბრალო ბავშები, მაგრამ პატარა ქალი გიქმაჟ ღელეს ქვებზე მიხლით ისე დაემსხვრია, რომ სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ქონდა, ძმა კი რამდენიმე საათს შემდეგ მოასულიერეს..

ყოველდღე ვკითხულობთ გაზეთებში სამართლიან სამდურავს, რომ სოფლებს პატრონი არა ყავთ, არვინ ზრუნავს მათი კეთილდღეობისათვისო და სხვა... ამ გარემოებისთვის ადრიანათ ყურადღება რო მიექციათ მამასახლისს, ან ადგილობრივ მასწავლებელს, ან ღვდელს, ჩაეგონებიათ მცხოვრებთათვის ამ ღელეზე, ათი არშინის სიგანეზე მოაჯირებით ფართო ძელის გადება, ცოდვა იქნებოდა, რაკი ასოთხმოცკომლ მცხოვრებში ვერავინ მიხვდა ამას... მაგრამ, ნათქვამია: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“., **დადო ბზვანელი.**

## დაბა-სოფლები.

**სოფ. ოფიშკვითი** (ქვემოთი). ორი წელიწადია, რაც სოფელ ოფიშკვითში დაარსდა საკრედიტო ამხანაგობა. ამხანაგობას ამ დაწესებულებისათვის ბინა არ ქონდა და დროებით ამავე სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის შენობაში მოათავსეს. ამ ამხანაგობის თავმჯდომარემ, მამა რაჟდენ სანებლიძემ აღსძრა საკითხი—ამხანაგობისათვის შესაფერი საკუთარი შენობა გაეკეთებიათ; ამ სურვილს ყველა თანხმობით მიეგება, მხოლოდ ვერ ამოარჩინეს ადგილი, სადაც შენობა უნდა აეგოთ. მაშინ იმავ მამა რაჟდენმა, საზოგადო მოღვაწეობით აღჭურვილმა, საკუთარ ეზოს ჩამოჭრა ერთი კუთხე და შესწირა ამხანაგობას სახლის ასაგებათ, სადაც დღეს ეს შენობა უკვე კეთდება და ერთ თვეს შემდეგ ამხანაგობას საკუთარი მუდმივი ბინა ექნება.

კარგი იქნება—ოფიშკვითის მცხოვრებნი ასეთსავე შესაფერ შენობას დროით ააგებდენ არსებული ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლისათვის და მით ხელს შეუწყობდენ სწავლა-განათლების საქმეს.

**მასწ. მიხ. ნარეშელაშვილი.**

## ოკრიბა.

ყოველი მხრით [illegible] გარდა ეს მხარე მოკლებულია კარგ [illegible], რაც არა ერთხელ [illegible] გაზეთებში. თავისთავათ ცხადია, ეს ძლიერ უშლის ხელს ადგილობრივი მცხოვრებლების ისეც ნივთიერათ შევიწროებულ მდგომარეობას. შემოდგომიდან დაწყებული გამოზაფხულადმი ოკრიბელ გლეხს თუ აზნაურს, ნამეტნავათ რგუნისა და მანდიკორის საზოგადოების მცხოვრებს არ ძალუძს, გზის უვარგისობის გამო, ურმით გაემგზავროს ქუთაისისკენ და თავისი ნაწარმოები ბაზარს მიაწოდოს.

გზის უვარგისობის გარდა, ოკრიბელი დიდ დაბრკოლებას განიცდის მდინარე „ჭალაზე“ უხიდობის გამო; ეს მდინარე რამდენიმე ადგილს სჭრის საურმე გზას. ამ მდინარემ მალე იცის ადიდება და ურმით მგზავრები გასვლა-გამოსვლას ვერ ახერხებენ.

ეს გარემოება ბ. ბ. ყიფიანმა და გ. როინიშვილმა ქუთ. მაზრის უფროსს ბ. კორლანოვს გააცნეს და სთხოვეს დახმარება ამ საქმეში. ბ. კორლანოვი შეპირებია—შვამდგომლობას აღვსძრავ, რომ საკმაო ხეტყის მასალა საჭირო ხიდების ასაგებათ მდინარე „ჭალაზე“ უფასოთ დაგეთმოსთ სახაზინო ტყიდანო.

ადგილობრივმა საზოგადოებამ საჭიროა ისარგებლოს და ამ ცხელ კვალზე იზრუნოს ამ საქმისთვის. აქ ყველა მცხოვრები, განურჩევლათ უნდა გულით მოეკიდოს ამ საქმეს რადგან უგზობით ყველა ერთნაირათ გაჭივრებულია.

**ხრესილელი.**

## ზელიმ-ხანი.

(მისი დაბადება, ცხოვრება, შემოქმედება და სიკვდილი).

(თარგმანი.)

პირველათვე, როდესაც ზელიმ-ხანი დედის სხეულიდან ქვეყანას მოევლინა, ერთი ხელი ბებიას ყელში სტაცა და მეორეთი მამას წელიდან ხანჯალი ამოაძრო.

— ფული, ანუ სიკვდილი!—შესძახა ახლათ-დაბადებულმა და ბებიას მამისეული ხანჯალი მოუღირა.

ბებიამ ყურებიდან საყურეები გამოიძრო, თავიდან ოქროს სამკაული მოიხსნა და გადასცა ახლათ-დაბადებულს, რომელმაც ნივთები წამსვე წაიღო და იარაღზე გადაცვალა.

შვილის ამგვარი უხიაგი საქციელით გაბოროტებული დედა დაემუქრა.

— კვლავაც თუ ისეთი უსაქციელობა ჩაიდინე, ჩემგან ერთ წვეთ რძესაც ვერ მიიღებო.

— აი, დარდი!—უპასუხა ახლათ-დაბადებულმა.

და ის გაეშურა მახლობელ ქალაქში, ხაზინა გაცარცვა და იმ ფულით „სოსკა“ იყიდა.

სახლისკენ რომ ბრუნდებოდა, მენახირეს მწველავი ფურები მოსტაცა და იმათი რძით იკვებებოდა.

ყოველივე ეს მამა მისმა რო გაიგო, სთქვა: „ეს ღლაპი კი არა, რაღაც ზელიმ-ხანიაო“!..

დაბადების მეორე-მესამე დღეს ზელიმ-ხანმა მიატოვა მამის კერა, შეკრიბა ბრბო და გასწია მთებისაკენ სათარეშოთ.

II.

ზელიმ-ხანის სიგმირე პირველათ შეიტყო მამედ—ალი—შახ ადესელმა, რომელმაც გამოუგზავნა თვისი მხლებლები.

— გამომყევ სპარსეთის დასაპყრობათ და ჩემ სამხედრო მინისტრათ დაგნიშნავო.

ზელიმ-ხანი შეეკითხა:

— ჯერ შემატყობიე, ვინ არიან შენი მეგობრები და მეცოდინება შენ თვითონ ვინა ხარ და ღირს თუ არა შენთან მეგობრობაო.

— უპირველესი ჩემი მეგობარი—ტოლ მაჩოვიაო.—

გაბრაზდა ზელიმ-ხანი და მხლებლები გარეკა.

შემდეგ ზელიმ-ხანთან მივიდენ მარკოვ-მეორის მხლებლები.

— კავშირი შევკრათ და ჩავსაფრდები სადმე ბრიანსკის ტყეშიო.

სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი
მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ
აბრეშუმის ჭიის თესლის

## ხ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდი...
თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფი ექვს მისხლიანი.
მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.
ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საჭიროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ქქთამეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში ჩარმურკაში.



დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის
ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოიპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


ზელიმ-ხანმა იმასაც მეკლეთ უპასუხა:

— ტყეებში უშენოთაც ბევრი გარეული ნადირი მოიპოებაო.

ა. ი. გუჩკოვის დამარცხებას შემდეგ, ზელიმ-ხანთან მივიდენ ოკტომბრისტები და სთხოვეს: ჩვენი ლიდერი გახდიო.

ზელიმ-ხანმა იმათაც უპასუხა: — მე ხელ სახოცის ხმარებას არა ვარ დაჩვეული და არც საჩუქრებით გაწუწკებულიო. ბოლოს, ზელიმ-ხანს თვისი სეკუნდანტი გაუგზავნა ერთმა ცნობილმა ღენერალმა:

— მე შენ დუელში უნდა გამოგყვეო.

— ეგ ჩემთვის ხელი-საყრელი არ არის, — უპასუხა ზელიმ-ხანმა — იმიტომ, რომ თუ შენ მომკალი — ჯილდოთ მიიღებ კისერზე ჯვარსა, და თუ მოგკალი — მივიღებ კისერზე თოკსაო.

III

და ამას შემდეგ დაუწყეს დევნა ზელიმ-ხანს დასაჭერათ.

ერთ საღამო ხანს იმას მოასწრეს ერთ ღელეში, ყოველ მხრით ალყა შემოარტყეს და დაიმედებული იყვენ, რომ გათენებისას ზელიმ-ხანს ცოცხლათ ხელში ჩაიგდებენ, მაგრამ ზელიმ-ხანმა შეუმჩნევლათ ის ღელე მეორე მაზრაში გადაიტანა და ამით თავს უშველა.

კარგათ მოგეხსენებათ, როგორც იჭერდენ ხოლმე ზელიმ-ხანს და აღარ ღირს ამაზე სიტყვის გაგრძობა.

IV

ბოლოს, როგორც იქნა მოკლეს ზელიმ-ხანი. ბოქაული თავისს უფროსს ეახლა და ამაყათ მოახსენა.

— მაქვს პატივი მოგილოცოთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— რას მილოცავ?

— ზელიმ-ხანის მოკვლას!

— რაო-ო?! — არა თავისი ხმით შეყვირა უფროსმა. — ვინ მოკლა, ვინ გაბედა, ზელიმ-ხანის მოკვლა?!

— ჯარმა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

უფროსი პირქვე დაემხო და მწარეთ აქვითინდა. როცა ცრემლები გამოელია, ბოქაულს გულამოსკვნით უთხრა:

— რაღა ვქმნათ, რა გვეშველება ახლა? ჩვენთვის ვცხოვრობდით გულ-დამშვიდებული ზელიმ-ხანის კალთას ქვეშ, უნაღვლელათ თუ რამე მოხდებოდა: მკვლელობა, ცარცვა, ან გატაცება, — მიუჯდებოდით, აუშფოთებლათ, სუფრას და ვსწერდით მხოლოდ მოხსენებას: „ბოროტ-მოქმედება ზელიმ-ხანის ბრბომ ჩაიდინა-თქო. მაზრაში რაც გინდა უბედურება მომხდარიყო, მაინც გაბედულათ ვუცქეროდი უფროსს და თვალის დაუხამხამებლათ მოვახსენებდი.

— ყველაფერში ზელიმ-ხანია დამნაშავე-მეთქი, თქვენო აღმატებულებავ! და ასე უცბათ გაქრა ის დალოცვილი, რაღა გვეშველება, რა მოგველის!?..

და ორივე მწარეთ დასტიროდენ ზელიმ-ხანის გვამს... გ. ა—ციხელი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში. ამას წინათ გაზ. „იმერეთის" საშუალებით სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე „თანამედროვე ქვეყნის" კორესპონდენტი ბ. X. მას შემდეგ განვლო აგერ ორმა თვემ, მაგრამ ბ. X სდუმს.

დამლევ წიფლობისთვის რიცხვებში სამშობლოდან კიევს ჩამოვედი და მეორე დღესვე გავუგზავნე კაცი და ვსთხოვე ჩემს მოწოდებაზე პასუხი გაეცა. მაგრამ, ახლაც ბ. X., რაღაც მოსაზრებით სდუმს. გასაკვირია, ბ. X. საქციელი. თუ მას მხოლოდ სიმართლე აინტერესებდა, როდესაც თავის ცილით სავსე წერილს აქვეყნებდა, რათ დასჭირებია ახლა სიჩუმე, რათ ეფარება ფსევდონიმს მაშინაც, როდესაც უფრო ნათლათ და ყოველი მხრით შეუძლია თავისი „საბუთების" დამტკიცება. მაგრამ იქნებ, ბ. X თავს დამნაშავეთ სცნობს. მაშინ მოიპოოს, ახლა მაინც, მოქალაქობრივი მხნეობა და პრესის საშუალებით უარყოს ის ცილისწამება, რომლითაც მე შემამკო.

ვაძლევ ბ. X. ათი დღის ვადას, რომ პასუხი მომცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შესაფერი სახელი ეწოდება. ჩემის მხრით ვასახელებ მსაჯულებათ ბ. ბ. პ. ი. კენკიასა და ე. კამენსკის.

დ. ქირქაშვილი.

—

უმორჩილესათ გთხოვთ საშუალება მოგვცეთ — თქვენი გაზეთით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ბ. ალექსანდრე მელიას, რომელმაც ს. წყემის ერთკლასიან სამრევლო შკოლას ფულათ 30 მანეთი შემოსწირა და აღუთქვა შემდეგისთვის ნივთიერი შემწეობა. კეთილი საქმე იქნება, თუ სხვებიც მიბაძვენ ბ. მელიას მაგალითს და მით ღარიბ სასწავლებელს სახსარს ამოუჩენენ.

წყემის შკოლის მასწავლებელი

ი. გოგაია.

—

საჩხერის სამკითხველოს გამგეობა უმორჩილესათ გთხოვთ მისცეთ ნება, რათა თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოს ბ. ევგენი ერისთავს, რომელმაც აღნიშნულ სამკითხველოს პირველი სეკტემბრიდან წლის დამლევამდი თავისი ხარჯით გამოუწერა „სახალხო გაზეთი".

ამხანაგების მონდობილობით

ბიკტორ იურკევიჩი.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


## 1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

# „ე რ ი"

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 მანეთი, |
| ნახევარი წლით . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით. . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 შაური, |

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Ери". Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери".

გაზ. „ერის" კანტორა ღიაა დილის 9—2 და ნაშუადღევის $5^1/_2$—7 საათ. კვირა-უქმე დღეებში დილის 9—12.



## განცხადება.

გმელდება ხელისმოწერა ჟურნალ „სასოფლო გაზეთზე"

24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი, მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანათი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანათი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Селскохозяйственная школа Александру Шаращидзе.





ქ. ქუთაისში. (საკრებ. ბაზართან).

ა. თაბაგრის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგეს პირობას ვაძლევთ.

ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.



## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



ვისაც თუთუნს ეძებს, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პ ა რ ო ს ი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.

თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## ახლათ გამოშვებული პაპიროზები

# „დ ე ლ ი - ბ ა ბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



გამოცემა „სორაპანისა"

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

დასურათებული

# კედლის კალენდარი 1914 წ.

შედგენილი გრ. ნარკვიანის მიერ

ფასი 2 აბაზი

კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზათ.

# სახალხო კალენდარი 1914 წ.

დასურათებული.

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.

კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.

ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი".



# გ. გორდაძისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65


ილექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.